დ ა ს კ ვ ნ ა

დაბა ჩოხატაურში გურიის ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და გივი მათითაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

აღნიშნული პროექტი შესაბამისობაში საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართელობის კოდექსი“ მე- 16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტთან, რომელიც თანახმადაც მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებში შედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება კანონით დადგენილი წესით;

ასევე შესაბამისობაშია ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტთან, რომლის მიხედვითაც საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება;

განკარგულების პროექტში მითითებული ქუჩის ნაწილი წარმოადგენს გურიის ქუჩას და მას სახელი გადერქმევა.

გივი ილიას ძე მათითაიშვილი იყო (დაბ. 1946წ) საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სანიმისტროს თანამშრომელი, კერძოდ მუშაობდა ჩოხატაურის რაიონულ განყოფილებაში, 1993 წლის 01 აპრილს დაიღუპა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია მედლით მხედრული მამაცობისთვის. ის ასევე მონაწილეობას იღებდა საქართველოს ერთიანობისთვის ცხინვალის ბრძოლებში (იხ. საბრძოლო მოკვლევა).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში წარდგენილი იქნა ინიციატივა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში,დაბა ჩოხატაურში გურიის ქუჩის ნაწილისთვის სახელის გადარქმევისა და გივი მათითაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ .

ინიციატივის მოტივაციას წარმოადგენს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დამნაშავეებთან ბრძოლაში დაღუპული გივი მათითაიშვილისათვის სათანადო პატივის მიგება. გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭება მოხდება „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად.

კომისიამ ინიციატივის და თანდართული მასალის განხილვის, საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ არსებობს სამართლებრივი საფუძველი დაბა ჩოხატაურში გურიის ქუჩის ნაწილისთვის სახელის გადარქმევისა და გივი მათითაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე: მარინე ბერაძე